უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№6 (25) 2013

თსუ დესპანი – 2013

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივა, მთელი საქართველოს მასშტაბით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის შუამავლის როლი ეთამაშათ, გასულ წელს გაჩნდა. თსუ რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის შეფასებით, "თსუ- დესპანი" ყველაზე წარმატებული პროექტია, რაც კი სტუდენტებისგან წამოსულა და მათი მონაწილეობით განხორციელებულა. ეს სტუდენტები სახელმწიფო უნივერსიტეტის "ელჩები" არიან, რომლებიც თავის მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებენ."

თუ პროექტის დასაწყისში "თსუ-დესპანის" სტატუსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცმა სტუდენტმა მიიღო, 2013 წლის გაზაფხულზე ამ პროექტში ჩართვა და სხვადასხვა სკოლებში თსუ წარმომადგენლად სიარული უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტის 650-მა სტუდენტმა გადაწყვიტა.

როგორც თსუ რექტორის მრჩველი, "საბავშვო უნივერსიტეტისა" და "თსუ-დესპანის" კოორდინატორი მარინა ლომოური მიიჩნევს, "ამგვარი სტატისტიკა იმის საუკეთესო დასტურია, რომ ეს პროექტი წარმატებული აღმოჩნდა და სტუდენტებმა მის მნიშვნელობა კარგად გააცნობიერეს".

შეგახსენებთ, ამ "ელჩების" მოვალეობაში, სხვადასხვა სკოლებში, სკოლის მოსწავლეებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უმაღლეს სასწავლებელში მათთვის არსებული შესაძლებლობების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის შეტანა შედის. ძირითადი მასალა, პრეზენტაციის სახით, პროექტის ორგანიზატორთა მიერ ყველას ერთნაირი დაურიგდა, თუმცა "დესპანები" ინტერპრეტაციებისა და ინიციატივების მხრივ შეზღუდული ნამდვილად არ ყოფილან. ზოგიერთმა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის კონკურსის ან სულაც თამაშის ფორმით შესძლო, რომელიც

გაგრძელება მე-3 გვ.

95

იარე ჩვენთან ერთად

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ახალი ექსპონატები

მე-3 გვ.

ფესტივალი „ოქროს საწმისი"

მე-4 გვ.

სპექტაკლის „დოდოს მოლოდინში" პრემიერა



მე-4 გვ.

ახალი ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტისგან

გეოგრაფია იმ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის სასწავლო პროცესში დამხმარე თვალსაჩინო მასალებს იყენებენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა გეოგრაფიულ რუკებს ენიჭება, რომელთა შექმნის დიდი გამოცდილებაც თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტს ნამდვილად აქვს. დაახლოებით ნახევარი წლის წინ ამ ინსტიტუტის მეცნიერთა ძალისხმევით საქართველოს ეროვნული ატლასი გამოიცა, რომელიც სამეცნიერო-საცნობარო ხასიათის კომპლექსური გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ნაკრებია.

სულ ახლახანს კი საზოგადოებას საქართველოს ახალი ფიზიკური და პოლიტიკურ ადმინისტრაციული რუკების ხილვის და შეძენის საშუალება მიეცა, რომელიც თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტში უახლეს კომპიუტერულ პროგრამებში თანამედროვე მონაცემების დამუშავების საფუძველზე შეიქმნა, რაც მათ მეცნიერულ ღირებულებას მნიშვნელოვნად გრდის. რუკების შესაქმნელად მუშაობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ისინი ფართო აუდიტორისთვისაა განკუთვნილი და ილუსტრირებულია ფერადი ფოტოსურათებით, რაც მომხმარებლებს მათი

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი საქმიანობას იწყებს

8-12 მაისს თსუ სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის ინიციატივით ჩაგარდა ტრენინგი ცენტრის თანამშრომლებისთვის თემაზე „სასჯელის აღსრულების სფეროში კვლევითი საქმიანობის წარმოების მეთოდოლოგია"; პროექტის მხარდამჭერია დანიის საქართველოს პროგრამა „სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა". ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ აქტივობებისა, რომელსაც სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი ახორციელებს.

ცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ 2012 წლის დეკემბერში დაფუძნდა. იგი აერთიანებს მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც მუშაობენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში.

ცენტრის მიზნებია: პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლა; არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის კვლევა; დამნაშავის პიროვნების შესწავლა; სამეცნიერო კვლევის და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე სასჯელაღსრულების სისტემის სამართლიანად, ჰუმანურად, ეკონომიკურად და საერთაშორისო სტანდარტებით მართვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა სამინისტროსათვის; ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა.

გაგრძელება მე-2 გვ.

მისია 2013

დასახე შენი წარმატება



მე-4 გვ.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი მღვიმეში „თსუ-95"

27 აპრილს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის № 2 საჯარო სკოლას თსუ „საბავშვო უნივერსიტეტის" წარმომადგენლები ესტუმრნენ. სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრაზე განიხილეს 2013 წლის საზაფხულო სკოლის ფარგლებში, საბავშვო უნივერსიტეტის ეგიდით ართვინის პროვინციის ქალაქ მურღულიდან მოსწავლეების სოფელ ითხვისში ტრანსპორტირების და განთავსების საკითხები. ჭიათურის სოფელ ითხვისში მდებარე მღვიმე „თსუ-95"-ში ასისტენტ პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა ჩაატარა ლექცია „მღვიმეების პრობლემებსა და პერსპექტივებზე „თსუ-95"-ის მაგალითზე. საველე ლექციას თბილისელ მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ერთად ჭიათურის სკოლების მოსწავლეებიც ესწრებოდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება და თსუ

22 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ორგანიზებით გაიმართა ფოტოგამოფენა – «საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი». გამოფენაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობების ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა იყო წარმოდგენილი. გამოფენა ერთ კვირას გასტანს.

ფოტოპროექტი „მე – უნივერსიტეტი"

თსუ 95 წლის საიუბილეო ფოტოპროექტი სახელწოდებით „მე - უნივერსიტეტი" გრძელდება. ფოტოგრაფი მინდია მიდელაშვილი წარმატებული უნივერსიტეტელების პორტრეტებს გადაიღებს. საიუბილეო წლის ფარგლებში დაგეგმილია 100-მდე ფოტოს გადაღება. წარმატებული უნივერსიტეტელის შერჩევაში მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელს. გთხოვთ, დაგვისახელოთ ნებისმიერ სფეროში მოღვაწე სამი წარმატებული უნივერსიტეტელი (მეცნიერი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენელი, სპორტსმენი და ა.შ) იხილეთ გამოკითხვა ბმულზე: TSU | „მე – უნივერსიტეტი" www.tsu.edu.ge

სტუდენტური კონკურსი „ევროპული მარცვლები"

თსუ ევროპის დღესთან დაკავშირებით ატარებს სტუდენტურ კონკურსს „ევროპული მარცვლები". კონკურსის თანაორგანიზატორებია საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო და ქართულ-ფრანგული მეგობრობისა და თანამშრომლობის ასოციაცია „თბილისი-ნანტი". დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მითითებული ბმული: http://www.tsu.edu.ge/ge/main_news/20856/?p=2

„მოგზაურთა კლუბის" პრეზენტაცია

23 მაისს თსუ-ში „მოგზაურთა კლუბის" პრეზენტაცია გაიმართა, რომლის წევრად გახდომა ყველა სტუდენტს შეუძლა. მოგზაურთა კლუბი სტუდენტების ინიციატივით 2012 წელს დაარსდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მონახულების, ტრადიციების გაცნობის, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით. კლუბის წევრები საქართველოს რეგიონებს დალაშქარვენ და სტუდენტურ აქტივობებში ჩაერთვებიან.

„სტუდენტები სტუდენტებისთვის"

24 მაისს პროექტ "სტუდენტები სტუდენტებისთვის" გამარჯვებულებმა დაიწყეს ტრენინგების ჩატარება თსუ-ს სტუდენტებისათვის. ტრენინგების თემატიკის მრავალფეროვანებიდან გამომდინარე სტუდენტებს საშუალება აქვთ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ან ახალი უნარ-ჩვევები შეიძინონ მათთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. პირველი ტრენინგი: "ეფექტური პრეზენტაციის და საჯარო გამოსვლის ხელოვნება" ტრენინგს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ჩაატარა.

ახალი ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტისგან

პირველი გვერდიდან

შინაარსის უკეთ გაგებაში ეხმარება. რუკების ავტორები არიან: რამინ გობეჯიშვილი - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ალექსანდრე ჯავახიშვილი – გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი. ლევან ტიელიძე - გეოგრაფიის მაგისტრი, დოქტორანტი.

"აქამდე სამომხმარებლო ბაზარზე არსებობდა სხვადასხვა შინაარსის რუკები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალი სპეციალისტების მიერ არის შედგენილი და შესაბამისად სერიოზული შეცდომებით და ხარვეზებით ხასიათდება. ჩვენს მიერ შექმნილი ახალი რუკები მათგან შინაარსით, ინფორმაციის მიწოდების სტილით და დიზაინით განსხვავდება. ამ შემთხვევაში ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ მოზარდი თაობისთვის და არა მარტო მათთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს შესახებ", – აცხადებს რუკის ერთ-ერთი ავტორი ლევან ტიელიძე.

უახლოეს მომავალში ამავე მეცნიერ-გეოგრაფთა მიერ იგეგმება სხვადასხვა თემატიკის ორენოვანი რუკათა სერიის – (ქართული და ინგლისური) გაკეთება. როგორც მათ მიაჩნიათ, საქართველოთი ბევრი უცხოელია დაინტერესებული და შესაძლებელია, ამ რუკებმა ერთგვარი „სავიზიტო ბარათი"-ს როლიც კი ითამაშოს, ჩვენი ქვეყნის მათთვის უკეთესად გასაცნობად. ამავე დროს, მათი აზრით, შინაარსიანმა, ვიზუალურად მიმზიდველმა რუკებმა ფართო საზოგადოების, და პირველ რიგში, სკოლის მოსწავლეებისათვის თავად გეოგრაფიისადმი ინტერესის მეტად გაღვივებას უნდა შეუწყოს ხელი.

უახლოეს მომავალში რუკების კიდევ ორი ვარიანტი, ტიპოლოგიური (პოლიგრაფიული) და ელექტრონული, მომზადდება რომელიც მალე თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსდება.

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკა

თსუ სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი საქმიანობას იწყებს

პირველი გვერდიდან

ცენტრის ამოცანებია სამეცნიერო კვლევების ჩატარება; მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების მიცემა სასჯელთა აღსრულების პოლიტიკის განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით; სასჯელთა აღსრულების საერთაშორისო სტანდარტებისა და უცხოური გამოცდილების შესწავლა და საქართველოში იმპლემენტირების ხელშეწყობა; პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში პრაქტიკული ხასიათის ლექცია-სემინარების და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელება; პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა; სამეცნიერო კონფერენციებისა და ლექცია-სემინარების ჩატარება; სტუდენტების ჩართვა ცენტრის საქმიანობაში;

უცხო სახელმწიფოების შესაბამის ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევის განხორციელება.

ამჟამად ცენტრი თანამშრომლობს მაასტრიხტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის დეპარტამენტთან (ჰოლანდია) გლობალურ პროექტზე, რაც მიზნად ისახავს საერთაშორისო კვლევითი ქსელის დაფუძნებას, საერთაშორისო კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

ასევე, ახლო მომავალში დადგმილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრის კლინიკის ჩამოყალიბება, რომელიც იფუნქციონირებს, როგორც სამაგისტრო სწავლების ერთ-ერთი პრაქტიკული კომპონენტი.

თსუ დესპანი – 2013

პირველი გვერდიდან

საინტერესო არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მათი მასწავლებლებისთვისაც კი აღმოჩნდა.

"დესპანების" 2013 წლის ნაკადში, იმ სტუდენტების დიდი ნაწილი დარჩა, ვინც ეს მისია ჯერ კიდევ გასულ წელს იტვირთა. მართალია ინიციატივა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან წამოვიდა, მაგრამ პროექტში ყველა ფაკულტეტის სტუდენტია ჩართული. მათაგან უმეტესობა მეორე-მესამე კურსზე სწავლობს, უნივერსიტეტის შესახებ უკვე გარკვეული ინფორმაცია და ჩამოყალიბებული შეხედულებებიც აქვთ. თუმცა, არანაკლებ აქტიურობენ პირველკურსელებიც, რომლებსაც თავის სკოლებთან კავშირი ჯერაც არ გაუწყვეტიათ და სხვა გარემოებების გარდა, ყოფილ აბიტურიენტებს თავის ძველ მასწავლებელებთან უკვე სტუდენტის სტატუსით დაბრუნებაც ეამაყებათ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი მარიამ შარია უკვე მეორე წელია რაც ამ პროექტშია. "თსუ დესპანის" რანგში პირველ წელს თბილისის სამ სკოლაში იყო, მეორე წელს უკვე ახალციხე-ადიგენის სკოლებში გახლდათ. როგორც თავად ამბობს, ბავშვების ინტერესი მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართ ყველაზე მეტად სწორედ ამ რაიონში იგრძნო. თავად პროექტი, მისი შეფასებით, საინტერესო იმით არის, რომ მომავალ აბიტურიენტებს მათთვის საინტერესო დეტალების დაზუსტება არაოფიციალურად, გარკვეულწილად პირადი გამოცდილების მქონე სტუდენტისგან შეუძლიათ.

იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტ თემურ ცინდელიანისთვის თავისი წარმოშობის გამო საინტერესო სვანეთის სკოლები აღმოჩნდა. თავისი დესპანობის ხანმოკლე პერიოდში მესტიის შვიდ სკოლაში შეძლო მისვლა, მათ შორის ისეთში, სულ რამდენიმე მოსწავლე რომ სწავლობს. ინტერესების მიხედვით ბავშვებს ბევრ რამეზე ესაუბრა. მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ შეფასების სისტემაზეც. გარდა იმისა, რომ მათში მომავალი დესპანების პოტენციალიც დაინახა, თავის მხრივ, მაღალმთიანი რეგიონებისთვის გათვალისწინებული სხვადასხვა პროექტების შესახებ კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მოძიების და მესტიელებისთვის მიწოდების სურვილიც გაუჩნდა.

14 მაისს „თსუ-დესპანები" საპატიო სიგელებით დაჯილდოდნენ. პროექტი გრძელდება, თავისი მოვალეობის შესრულებას "თსუ დესპანები" ოქტომბრიდან გააგრძელებენ.

„ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ" გაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლა გამოყენებით მათემატიკაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, მათემატიკასა და ინფორმატიკაში თბილისის საერთაშორისო ცენტრი და თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი ატარებენ გაფხულის სასწავლო-სამეცნიერო სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ," რომელიც გაიმართება 2013 წლის 1-12 ივლისს. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები მე-6-დან მე-12 კლასის ჩათვლით. მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 მოსწავლეს, რომელიც დაიყოფა 4 ჯგუფად. პროექტი „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ" ითვალისწინებს გააცნოს სკოლის მოსწავლეებს მათემატიკის გამოყენებითი ასპექტები, მოაწყოს შეხვედრები ცნობილ მეცნიერებთან, ჩართოს დაინტერესებული მოსწავლეები სამეცნიერო მუშაობაში შესაძლებლობის ფარგლებში. მეგობარ ბავშვებს ბევრ რამეზე ესაუბრა. მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ შეფასების სისტემაზეც. გარდა იმისა, რომ მათში მომავალი დესპანების პოტენციალიც დაინახა, თავის მხრივ, მაღალმთიანი რეგიონებისთვის გათვალისწინებული სხვადასხვა პროექტების შესახებ კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მოძიების და მესტიელებისთვის მიწოდების სურვილიც გაუჩნდა.

14 მაისს „თსუ-დესპანები" საპატიო სიგელებით დაჯილდოდნენ. პროექტი გრძელდება, თავისი მოვალეობის შესრულებას "თსუ დესპანები" ოქტომბრიდან გააგრძელებენ.

მოაღნიშნულის განხორციელება ნავარაუდევია არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი სახელმწიფოების მოსწავლეებისათვისაც, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის აღრეული ასაკიდან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. პროგრამა შედგება 5 ნაწილისაგან: 1) მოუსმინე, 2) გაიმეორე, 3) შეისვენე, 4) ცოდნა გაუზიარე, 5) ითამაშე.

გარდა ამისა, მოეწყობა ექსკურსიები სახელმწიფოს მუზეუმებში; ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, ნავარაუდევია თბილისის, ჭიათურის, ქუთაისისა და ახალციხის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება.

გაფხულის პროგრამა ითვალისწინებს წინასწარ შეთანხმებულ ოჯახებში ართვინიდან მოსწავლეთა მიღება-მასპინძლობას თბილისში 1-დან 5 ივლისამდე, ჭიათურაში 6-7 ივლისს.

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ახალი ექსპონატები

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს კიდევ ორი ემიგრანტის პირადი არქივი შეემატა. არქივის ექსპონატების გამოფენა 2013 წლის მაისში მსოფლიო მუზეუმების კვირეულის ფარგლებში გაიმართა. ამავე თარიღს ემთხვევა ქართული ემიგრაციის მუზეუმის ოცი წლის იუბილეც.

ტელეკომპანია მე-9-ე არხის ამერიკის ბიუროს დირექტორმა რუსუდან წერეთელმა თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს ცნობილი ემიგრანტი შემოქმედის ჯორჯ პაპაშვილის და ამერიკელი ქართველი მრეწველის ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძის) პირადი მასალები უსახსოვრა. ხოლო გურამ შარაძის მეუღლემ სვეტლანა გახარიამ და ქალიშვილმა რუსუდან შარაძემ მუზეუმს გადმოსცეს გურამ შარაძის პირად არქივში დაცული ჯორჯ პაპაშვილის მასალები, მათ შორის ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების პირადი წერილები და თავად გურამ შარაძის ნაშრომი ხელნაწერის სახით ჯორჯ პაპაშვილზე. ცალკეული მასალები ორივე ემიგრანტზე დაცული იყო მუზეუმში დაარსების დღიდან, ახლა კი ამ ექსპონატების შევსება მოხდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ემიგრანტის გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის წიგნი "Anything Can Happen" – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს," 1945 წელს უოლტ უიტმენის, მარკ ტვენის, იულიამ ფოლკნერის, ერნესტ ჰემინგუეის და სხვა გამოჩენილი ადამიანების წიგნების გვერდით ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა. ერთ წელიწადში წიგნი ბესთსელერად იქცა და ნახევარმილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. მეორე მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც გიორგი პაპაშვილის სახელს უკავშირდება, მისი მოქანდაკეობაა. ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის გვარ-სახელი შეტანილი იყო ისეთ სერიოზულ გამოცემებში, როგორებიცაა: Who's Who in American Arts ასევე, Who's Who in American Literature of the 20th century.

მუზეუმს საჩუქრად ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სწორედ ეს წიგნი: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს" და ასევე წიგნი „შინ და კვლავ შინ" გადმოეცა. ეს წიგნები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა .როგორც ცნობილია, ჯორჯი წიგნის შინაარსს კარნახობდა მეუღლეს და ის იწერდა.

მუზეუმს ასევე გადმოეცა გრანიტის ქვის ნატეხი, რომელისგანაც იქმნებოდა ემიგრანტის ცნობილი ქანდაკებები; მისი ცხოვრების ამსახველი ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალა.

ჯორჯ პაპაშვილის არქივს ქალბატონმა სვეტლანა გახარიამ და რუსუდან შარაძემ შემოამატეს გურამ შარაძის პირად არქივში დაცული ემიგრანტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების პირადი წერილები, ფოტომასალა, ამონარიდები ამერიკაში გამოცემული გაზეთებიდან. არის ასევე მასალა რომელიც ჯერ არ არის დამუშავებული.

მუზეუმის მესვეურთა ინფორმაციით, კოლექცია მცირეა, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან აქ დაცულია როგორ აღვნიშნეთ ჯორჯ პაპაშვილის ავტოგრაფებიც. საყურადღებოა ის ფაქტიც რომ ემიგრანტი მეუღლესთან ერთად 1961 წელს იმყოფებოდა საქართველოში და ისინი იმყოფებოდნენ სტუმრად უნივერსიტეტში, შეხვდნენ დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორმასწავლებლებსა და სტუდენტებს. მეორე მნიშვნელოვანი შენაძენი არის ჯორჯ კობის (გრიგოლ კობახიძის) არქივის შევსება. იგი მსოფლიოში სახელგანთქმული მინის მრეწველი იყო. ჯორჯ კობის წარმოების საქონელბრუნვა 1929 წლისთვის 15 მილიონ დოლარს აღწევდა, სუფთა შემოსავალი კი – 4 მილიონს. იმავე 9-ე არხის ამერიკის ბიუროს წარმომადგენელმა რუსუდან წერეთელმა თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმს გადასცა ჯორჯ კობის მიერ შექმნილი ნაძვის ხის სათამაშოები, რომელის წარმოებაც 1940-იანი წლებიდან დაიწყო ამერიკაში „კობი კლასის" სახელწოდებით. პირველ სათამაშოზე რომელიც დაამზადა გამოსახული იყო ვაზის ფოთოლი. მის საწარმოში მზადდებოდა ქართველი ემიგრანტის გიორგი (პრინც) მაჩაბელის სუნამოებისთვის ფლაკონები. მუზეუმში დაცული მასალების საფუძველზე შეიქმნა არაერთი პუბლიცისტური ნაშრომი და წიგნი.

სიახლეები

20 მაისს თსუ-ში 1918-1921-1924 წლების მოვლენათა შესახებ სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა. კონფერენცია ახალგაზრდული ორგანიზაცია „FOREVER" და ქალაქ თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებასთან ერთად არის ორგანიზებული და ღონისძიებათა ციკლის „საქართველოს მოპოვებული, დაკარგული და აღდგენილი დამოუკიდებლობა - 1918-1991 წ.წ." ფარგლებში ჩაგარდა.

* * *

20 მაისს თსუ ბიბლიოთეკასთან არსებულმა კინოკლუბმა დოკუმენტური ფილმის „ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვალ" ჩვენება გამართა. ფილმი გადაღებულია თსუ ტელე-კინო ხელოვნების მიმართულების მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ. „ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვალ" შეიქმნა პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორეს კურთხევით ათცამეტ ასურელ მამათა მიერ დაარსებული ყველა სამონასტრო კომპლექსის მოლოცვას.

* * *

20 მაისს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მაგისტრანტმა ანნა კონდრატენკომ საკუთარი ლექსებისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების რუსული თარგმანები წარმოადგინა.

* * *

16 მაისს თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების ორგანიზებით ჩატარდა ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა. ღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები; სამართლის დარგის მეცნიერები; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

* * *

14 მაისს თსუ-ში სახელმძღვანელო გერმანული ფილოლოგიის სტუდენტებისთვის - „გერმანული ენის ლექსიკოლოგია ქართველი სტუდენტებისთვის" სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელოს ავტორები არიან თსუ პროფესორი ლალი ქეცბა–ხუნდაძე და მიმართულების დოქტორანტი დავით გიორგობიანი. წიგნი გერმანისტიკის დარგში დიუსელდორფის ჰაინრიჰ ჰაინეს უნივერსიტეტთან ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში დაიწერა. ამავე დროს, გერმანიაში გამოიცა კრებული „ტექსტი, როგორც ხიდი კულტურებს შორის", რომელიც ინტერკულტურულ ლინგვისტიკას და ლიტერატურათმცოდნეობას შეეხება. წიგნში შესულია თსუ პროფესორის ლალი ქეცბა-ხუნდაძის ნაშრომი „სივრცის ინსცენირება ქართულ პოსტმოდერნისტულ დისკურსში აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსას" მიხედვით". ღონისძიება ევროპის დღეების ფარგლებში ჩატარდა.

* * *

9 მაისს ევროკავშირის კვირეულის ფარგლებში ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პრიიტ ტურკი თსუ სტუდენდებს შეხვდა. ელჩმა ევროკავშირზე, ესტონეთი-საქართველოს ურთიერთობებსა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სტრატეგიებზე ისაუბრა. მან სტუდენტებს ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების გამოცდილება გაუზიარა.

* * *

8 მაისს, თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით თსუ-ში მომღერალ მაია ბარათაშვილის აქცია-კონცერტი "Here 's to Life" გაიმართა. კონცერტი იმ ქალბატონებს მიეძღვან, ვინც მკერდის კიბოს დამარცხება შეძლო. პროექტის ფარგლებში, ეკა აბულაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. აქციის პარტნიორი და მხარდამჭერი "ეროვნული სკრინინგ ცენტრი" გახლდათ.

გაგრძელება მე-4 გვ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი სტუმრად „თსუ-გორდელასთან"

2 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გოგონათა ტრადიციული მუსიკის ანსამბლს "თსუ-გორდელას" საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი სტუმრობდა. მინისტრი გაეცნო ანსამბლის წევრებს, მოისმინა „გორდელას" ჩამოყალიბების ისტორია, დაესწრო რეპეტიციას სადაც მოისმინა სიმღერები ძველი და ახალი რეპერტუარიდან.

სიახლეები

მესამე გვერდიდან

* * *

2 მაისს თსუ და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების თანხმად, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების წარჩინებული სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას და სტაჟირების კურსს „რუსთავი 2"-ის როგორც საინფორმაციო, ასევე სხვა განყოფილებებში გაივლიან. სტაჟირების კურსის წარმატებულად დასრულების შემდეგ ტელეკომპანია სტუდენტებს პირად დახასიათებებს გადასცემს, ხოლო უნივერსიტეტი, თავის მხრივ, იმსჯელებს სასწავლო კრედიტის მინიჭების თაობაზე.

* * *

30 აპრილს თსუ-ში თარგმანის თეორეტიკოსის ქეთევან ბურჯანაძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

* * *

30 აპრილს თსუ-ში ლიტერატურული ურთიერთობებითა და თარგმანის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის მთარგმნელ სტუდენტთა შემოქმედებითი წრის პირველი სხდომა გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი იყო.

* * *

30 აპრილს თსუ-ში საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორის, პროფესორ ნანა სუმბაძის წიგნის "სამოქალაქო ჩართულობის დეტერმინანტები და შედეგები" პრეზენტაცია გაიმართა.

* * *

26 აპრილს თსუ-ში ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა მოაწყო მრგვალი მაგიდა. ღონისძიებაზე ევროპულ-ქართული ორენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნის ლექსიკოგრაფიული პრინციპებისა და ქართულ ტერმინთა ორთოგრაფიასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემური საკითხის განხილვა გაიმართა. წარმოდგენილი იყო ლექსიკოგრაფიული ცენტრის პროექტის „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ელექტრონული ლექსიკონი" მიმდინარეობის მოკლე ანგარიში.

* * *

26 აპრილს თსუ-ში რენდის კორპორაციული სადოქტორო სკოლის (კალიფორნია, აშშ) და თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თამარ კოვზირიძემ თსუ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. რენდის სადოქტორო სკოლაში სწავლა შეუძლია ნებისმიერ სფეროში ბაკალავრის (მაგისტრის) ხარისხის მფლობელს, არ არის ასაკობრივი შეზღუდვა. სტატისტიკის თანახმად, რენდის სადოქტორო სკოლის სტუდენტთა ასაკობრივი ზღვარი 22-46 წელია.

* * *

25 აპრილს თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ანატოლიურ კვლევათა ფრანგული ინსტიტუტის (IFEA) მეცნიერის, კავკასიის განყოფილების დირექტორის ჟილ ოტიეს წიგნის "ჯუჰურის (ებრაულ-თათური) - აღმოსავლეთ კავკასიის ებრაელთა ენის გრამატიკა" (Grammaire juhuri, ou judéo-tat, langue iranienne des Juifs du Caucase de lest) პრეზენტაცია გაიმართა.

* * *

25 აპრილს თსუ-ში საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის სამოქალაქო სამართლის მიმართულების შეხვედრა გაიმართა, თემაზე "საკორპორაციო სამართლის პრობლემური საკითხები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით".

ფესტივალი „ოქროს საწმისი"

2013 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან თვენახევრის განმავლობაში თსუ და თბილისის კლასიკური გიმნაზია ფესტივალის "ოქროს საწმისის" მასპინძლები იყვნენ. ფესტივალმა ბერძნული ლიტერატურისა და საბერძნეთის მოყვარულები გააერთიანა და მოსწავლეებსა და სტუდენტებს საკუთარი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობაც მისცა.

ქართულ-ბერძნული საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი" 2013 წელს დაფუძნდა. ინიციატორები იყვნენ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის განვითარების ფონდი და თბილისის კლასიკური გიმნაზია. ფესტივალში ჩართულები იყვნენ დედაქალაქის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მასში მონაწილეობა მიიღო 40-მდე სკოლის 280-მა მოსწავლემ.

„ოქროს საწმისი" ემსახურება ანტიკური, ბიზანტიური და თანამედროვე ბერძნული კულტურის გავრცელება-პოპულარიზაციას ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. ფესტივალი თვენახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები. კერძოდ, კონკურსები ლიტერატურასა და პოეზიაში, ხატვასა და ძერწვაში, ცეკვასა და სიმღერაში. აგრეთვე დაიდგა თეატრალური წარმოდგენები, ჩატარდა ვიქტორინა ბერძნულ მითოლოგიაში. 45 მოხსენებიდან გამოვლინდა 9 საუკეთესო, რომელიც გამოქვეყნდა ბროშურის სახით „მოსწავლეთა საკონფერენციო თემები", რომელიც დაბეჭდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი გამომცემლობა „ლოგოსმა".

ღონისძიებაში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა პრიზებითა და სიგელებით. გარდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტისა და ქ. თბილისის კლასიკური გიმნაზიისა, ფესტივალის გამართვაში აქტიური წვლილი მიუძღვით „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში" პროგრამის წევრებს ნინო ბადაშვილსა და თამარ ცხვედიანს, ასევე, საბერძნეთის საელჩოს და მელანა მერკურის საბერძნეთის ფონდს. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, თსუ პროფესორის რისმაგ გორდეზიანის თქმით: ეს ფესტივალი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის თანამშრომლობის. ამიტომ ძალიან ლოგიკურია რომ ფესტივალი გაიხსნა კლასიკურ გიმნაზიაში და დასრულდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ჩვენი ორგანიზატორებით გადაწყვეტილებით ფესტივალი გახდება ყოველწლიური და მიიღებს ტრადიციულ ხასიათს".

სპექტაკლის „დოდოს მოლოდინში" პრემიერა

30 მაისს, 19:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დათო ტურაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „დოდოს მოლოდინში" პრემიერა გაიმართება. უნივერსიტეტისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი პროექტი საიუბილეო წლის ფარგლებში განხორციელდა. სპექტაკლი უნივერსიტეტის თეატრალურმა დასმა რეჟისორ გიორგი გომურაშვილის ხელმძღვანელობით დადგა. დათო ტურაშვილის პიესა პროექტის „9 პიესა ძალადობის წინააღმდეგ" ნაწილია, რომელიც გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში" ფარგლებში გასულ წელს შეიქმნა. პიესა ასახავს ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას საბერძნეთში და მოგვითხრობს ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი საქართველოში დარჩენილი ოჯახების ისტორიებს. მის: ჭავჭავაძის გამზ. №1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, სააქტო დარბაზი.



მისია-2013

2 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2013" მეორე ტურის პრეზენტაცია გაიმართა. კონკურსის წლევანდელი პარტნიორის კომპანია „ნატახტარის" წარმომადგენელმა ნინო სურმავამ ფინალისტ გუნდებს მეორე ტურის დავალება გააცნო. სტუდენტები 1 თვის განმავლობაში „ნატახტარის ლიმონათის ფონდის 2013 წლის საკომუნიკაციო კამპანიას" შეიმუშავებენ. ივნისის დასაწყისში 5 ფინალისტი გუნდი მოწვეული ჟიურის წინაშე პრეზენტაციებით წარდგება. ჟიური სამ საუკეთესო გუნდს გამოავლენს, გამარჯვებულებზე კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარი გადანაწილდება.

„მისია" ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური კონკურსია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge